



მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #36 ივლისი, 2014

გამოშვებაში  
წაიკითხავთ

აზერბაიჯანული 1  
სამთავრობო  
CERT-ის  
წარმომადგენლებ  
ი მონაცემთა  
გაცვლის  
სააგენტოში

EHRMS სისტემა 2  
სახელმწიფო  
უწყებებში

ნოტარიუსთა 2  
პალატის ონლაინ  
სერვისები

ქართველო 3  
მოსწავლეების  
წარმატება  
ინფორმატიკის  
საერთაშორისო  
ოლიმპიადაზე

აზერბაიჯანის სამთავრობო CERT-ის  
წარმომადგენლებმა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს  
გამოცდილება გაიზიარეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს აზერბაიჯანის სამთავრობო CERT-ის (კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი) წარმომადგენლები ესტუმრნენ. სააგენტოს თანამშრომლებმა აზერბაიჯანელ კოლეგებს დეტალურად გააცნეს ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით საქართველოში მიმდინარე პროექტები, ასევე გაუზიარეს ის გამოცდილება, რომელიც სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფ CERT.GOV.GE-ს ჯგუფს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში დაუგროვდა.

ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანელი სტუმრები ასევე შეხვდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, ალექსანდრე ბურჭულაძეს.

„მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი სააგენტოს გამოცდილების გაზიარებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ინტერესდებიან. დღეს ჩვენს აზერბაიჯანელ კოლეგებს გავაცანიტ ის მეთოდები და საშუალებები, როელთა გამოყენებითაც ვახდენთ ინფორმაციულ და კიბერ ინციდენტებზე რეაგირებას და ვანხორციელებთ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის სტანდარტების შექმნასა და დანერგვას.“ - განაცხადა ირაკლი გვენეტაძემ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.

აზერბაიჯანელი კოლეგები ასევე გაეცნენ საქართველოში ელ-მმართველობის განვითარების ტენდენციებს, ელექტორული სერვისების მუშაობის სპეციფიკასა და ამავე სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების პლატფორმას - მოქალაქის პორტალ MY.GOV.GE-ს.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საპარტნიორო  
საკანონმდებლო  
მაცემი

www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

### ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა - EHRMS სახელმწიფო უწყებებში ინერგება



სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს "ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა" eHRMS-ის დანერგვა სახელმწიფო უწყებებში.

სისტემის ძირითადი პრიორიტეტებია: სიმარტივე და მოქნილობა, რაც ხელს უწყობს მომხმარებლის დროისა და რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიას.

სისტემის მომხმარებელთა რაოდენობა აქტიურად იზრდება. დღეისთვის აღნიშნული სისტემა დანერგილია 20-ზე მეტ უწყებაში, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში; საქართველოს ფინანსთა სამინისტროში; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში; დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა

სამინისტროში; აჭარის მთავრობაში; აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში; ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში; სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში; საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში; სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში; ეროვნულ სატყეო სააგენტოში; სახალხო დამცველის აპარატში; მუნიციპალური განვითარების ფონდში.

საფინანსო-ანალიტიკური სამსახური აქტიურად განაგრძობს მუშაობას სისტემის განვითარებაზე, რათა კიდევ უფრო დახვეწილი პროდუქტი შესთავაზოს მომხმარებელს.

### ონლაინ სანოტარო სერვისებზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება



2014 წლის ექვს თვეში საქართველოს ტერიტორიაზე, ინტერნეტის მეშვეობით, 24 204 სანოტარო აქტი დამოწმდა. ნოტარიუსთა პალატის ინფორმაციით, ონლაინში შესრულებული სანოტარო მოქმედებების სტატისტიკური მაჩვენებელი ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იმატებს. 2010 წელს ინტერნეტის მეშვეობით 6 390 სანოტარო აქტი დამოწმდა, 2011 წელს - 25 633, 2012 წელს - 32 674, 2013 წელს - 39 401 სანოტარო აქტი.

ინტერნეტის მეშვეობით შესაძლებელია შემდეგი

სანოტარო მოქმედებების შესრულება: განცხადების, მინდობილობა/რწმუნებულების დამოწმება მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან; გარიგების (ნასყიდობის, იპოთეკის, სესხის.... ხელშეკრულებები) დამოწმება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

ასევე, ონლაინ რეჟიმში მოწმდება სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების, ამხანაგობების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების დამფუძნებელ და მმართველ ორგანოთა კრების ოქმები (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ.2)

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც სანოტარო მოქმედება ონლაინში სრულდება. სანოტარო მომსახურების ინტერნეტის მეშვეობით მიღება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, ან საქართველოს ბინადრობის მოწმობის მქონე პირს შეუძლია.

ონლაინ სანოტარო სერვისის პოპულარობის მიზეზს მისი მარტივად და კომფორტულად მიღების შესაძლებლობა განაპირობებს. განსაკუთრებით აქტუალურია იგი უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის. მათ აღარ უწევთ საკონსულოში მისვლა, ზედმეტი თანხისა და დროის დახარჯვა, ონლაინში (სკაიპის მეშვეობით) უკავშირდებიან საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერ ნოტარიუსს (ნოტარიუსების კოორდინატები განთავსებულია ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე: ნოტარყ.გე) და საცხოვრებელი ადგილიდან გაუსვლელად იღებენ სანოტარო მომსახურებას.

ინტერნეტის მეშვეობით დამოწმებული სანოტარი აქტი ისეთივე სანდოა, როგორც სანოტარო ბიუროში შესრულებული. ნოტარიუსს წვდომა აქვს საქართველოს მოქალაქეთა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე და მხოლოდ ონლაინში დაკავშირებული მოქალაქის იდენტიფიცირების შემდგომ ამოწმებს სანოტარო აქტს. ამასთან, დამოწმების პროცესს ესწრება ორი მოწმე, რაც, ასევე, ხელს უწყობს სანოტარო მოქმედების მონაწილე პირის იდენტიფიცირებას.

## ქართველი მოსწავლეები საერთაშორისო ოლიმპიადიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ



ინფორმატიკის 26-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე (IOI-2014) საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა 1 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ოლიმპიადა წელს ტაივანში, 13-20 ივლისს ჩატარდა.

საქართველოს ნაკრები გუნდი, 4 მოსწავლისა და 2 ხელმძღვანელის შემადგენლობით იყო წარმოდგენილი.

აღნიშნული ოლიმპიადა საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მასშტაბური ოლიმპიადაა. მისი ძირითადი მიზანია ინფორმატიკის პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ნიჭიერი

მოსწავლეებისთვის სამეცნიერო და კულტურული გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა.

ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება და მასში 80-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს. 2005 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სრულად აფინანსებს საქართველოს ნაკრები გუნდის შერჩევას, წვრთნას და ოლიმპიადაში მონაწილეობას. ამ პერიოდში საქართველოს ნაკრებ გუნდს მოპოვებული აქვს 2 ოქროს, 5 ვერცხლის და 17 ბრინჯაოს მედალი.

იხილეთ ჩვენი საიტები  
[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.